ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N13

17 აგვისტო, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, ბ. დავითულიანი, ქ. ჯოხაძე, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ვახტანგ შაქარიშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით უთმელიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან ჟორჟოლიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. რევაზ სოხაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ლევან ჯაფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. მიხეილ ამაშუკელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ლევან არველაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. მაია ბითაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ალექსანდრე ტოგონიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა (N12-031822769-03).**

   მომხსენებელი: ქალბატონი მაია ბითაძე
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, დაადასტურა კვორუმის არსებობა და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, დეტალურად ისაუბრებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ქალბატონი მაია ბითაძე.

ქალბატონმა მაია ბითაძემ წარმოადგინა ბატონი ალექსანდრე ტოგონიძის კანდიდატურა და განმარტა, რომ მას აქვს მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება, როგორც დაგეგმარების, ისე ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. მისი თქმით, ბატონი ალექსანდრე პრაქტიკულად ჩართული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა იმ რეფორმაში, რომელიც დაიწყო ახალმა ხელმძღვანელობამ გასული წლის ნოემბრის თვიდან. ამ რეფორმების ფარგლებში განაშენიანების რეგულირებისა და ნებართვების გაცემასთან ინტეგრირდა გარემოს დაცვის საკითხები და ამ სამართლებრივი ცვლილებების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობდა ბატონი ალექსანდრე; აგრეთვე, ქალბატონი მაიას ინფორმაციით, ბატონი ალექსანდრე აქტიურად იყო ჩართული თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის სისტემის დახვეწაში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა კვლევა მშენებლობების ინტენსივობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ახალი ობიექტების მშენებლობის თაობაზე.

ქალბატონმა მაია ბითაძემ ასევე განმარტა, რომ ბატონი ალექსანდრე კომპეტენციის ფარგლებში ჩართული იყო ქალაქის გენერალური გეგმის განხილვაში და ამჟამადაც აქტიურად მონაწილეობს ტრანსპორტის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალების მომზადების პროცესში, რომელიც სტრატეგიული დოკუმენტი იქნება თბილისის მუნიციპალიტეტისთვის. ქალბატონი მაიას თქმით, აღნიშნულ პროექტს დახმარებას უწევს აზიის განვითარების ბანკი.

მერის მოადგილემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატს აქვს დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან ურთიერთობის კარგი გამოცდილება. მისი თქმით, ბატონმა ალექსანდრემ კარგად წარმოაჩინა საკუთარი გამოცდილება და პიროვნული, თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში მუშაობისას, გუნდის დაკომპლექტებისა და მისი მართვის კუთხით. დასასრულს, ქალბატონმა მაიამ დაამატა, რომ ბატონი ალექსანდრე ტოგონიძის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად დანიშვნა მნიშვნელოვანი შენამატი იქნება ქ. თბილისის მერიის მმართველი გუნდისთვის.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ იგი პირადად იცნობს ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს და მხოლოდ კარგად შეუძლია მისი დახასიათება. მანვე წარმატება უსურვა წარმოდგენილ კანდიდატს მომავალ საქმიანობაში.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიას დედაქალაქის კულტურის სტრატეგიაზე მუშაობისას ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა ბატონ ალექსანდრე ტოგონიძესთან, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილესთან. მისი თქმით, მაშინ მათი შეხედულებები შემოქმედებითობისა და კულტურული მეწარმეობის მზარდ როლზე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთმანეთს დაემთხვა და შედეგად, კომისიას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა ბატონი ალექსანდრესგან, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადა და გამოთქვა იმედი, რომ მომავალშიც გაგრძელდება მსგავსი წარმატებული თანამშრომლობა.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა სტრუქტურაში დაწინაურება, ვინაიდან წარმოდგენილმა კანდიდატმა იცის მერიის სტრუქტურა და აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, მეორე მხრივ კი, მერიის სხვა თანამშრომლებისთვისაც სტიმულის მიმცემი იქნება აღნიშნული გადაწყვეტილება.

კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა წარმატება უსურვა წარმოდგენილ კანდიდატს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

მაია ბითაძემ, დავით უთმელიძემ, თამარ ტალიაშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ, ბექა დავითულიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	8
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

ერთხმად გადაწყვიტეს, რომ განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ბატონი ალექსანდრე ტოგონიძის დანიშვნის საკითხს და მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ალექსანდრე ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი